ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №497764

ნომერი: AR1101685

თარიღი : 06.01.2013

გაცემის თარიღი : 09.01.2013

გაცნობის თარიღი : 10.01.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ კახიანი პ/ნ 65002001414
- თბილისი ყვარლის ქ. N 109 ბ. 73

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, თუმცა ამისათვის უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ, მოქ. ანა მოროზოვამ ან მისმა მინდობილმა პირმა, აღნიშნული მინდობილობის ატვირთვა კი შესაძლებელი იქნება "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" გრაფაში. ასევე შესაძლებელია ფართის მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლის სახით შესაბამის ველში.

2. თქვენს მიერ განაცხადის რეგისტრაციის ნომენკლატურა არ იყო სწორად არჩეული. განაცხადის განმეორებით რეგისტრაციისას (ამისათვის ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით) უნდა შეარჩიოთ: "I კლასი" - "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი" - ქმედებები "რეკონსტრუქცია" (ნაცვლად "კორექტირებისა).

3. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს გრაფაში დამატებით აიტვირთოს ფოტოსურათები, ფასადის მთელი ხედის ფიქსაციით.

4. "კორექტირებული ფოტომონტაჟი"-ს გრაფაში დამატებით აიტვირთოს ფოტომონტაჟი, ფასადის მთელი ხედის ფიქსაციით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.